ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

#HSBarometer

ტალღა VIII

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

წინასიტყვაობა (1)

კვლევის მიზანი

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ დარგის სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა

საკვლევი პერიოდი

ბარომეტრის VIII ტალღა აჯამებს 2016 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე მოვლენებს

**** შენიშვნა***

ბარომეტრის VIII ტალღა არ ასახავს 2017 წლის მარტიდან ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს

წინასიტყვაობა (2)

- კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე სპეციალისტების მოსაზრებებს
- რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო, შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს:
  - საქსტატის ოფიციალური მონაცემები ფასების და ინფლაციის შესახებ
  - საქსტატის მიერ წარმოებული შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის ბაზების მეორადი ანალიზის შედეგები (ანალიზის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სლაიდზე #23)
  - ფინანსთა სამინისტროს მონაცემები ჯანდაცვის ბიუჯეტის შესახებ.

ძირითადი მიგნებები

დარგში მიღწეული წარმატებები სპეციალისტთა აზრით

1. ბოლო 2 წლის მანძილზე ბარომეტრის რესპონდენტები **"C ჰეპატიტის პროგრამის" მიმდინარეობას** ჯანდაცვის სფეროს პირველ წარმატებად ასახელებენ.

2. ბარომეტრის VIII ტალღაში ჯანდაცვის სფეროს მეორე წარმატებად **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაუმჯობესებისთვის დაგეგმილი ცვლილებები** დასახელდა

3. ჯანდაცვის სფეროს მესამე წარმატებად კი რესპონდენტები **სამედიცინო დაწესებულებების დონეებად განსაზღვრის დაწყებას** ასახელებენ.

ჯანდაცვის სფეროს წინაშე მდგარი გამოწვევები

რესპონდენტების აზრით, ჯანდაცვის სფეროს წინაშე მდგარ უმთავრეს გამოწვევებს მიეკუთვნება:

1. ხარჯთ-ეფექტურობის მიღწევა ჯანდაცვის დაფინანსებაში
2. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვა-ადმინისტრირების კუთხით არსებული ხარვეზები
3. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დიზაინი.

ფასების დინამიკა და მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

გამოკითხულთა:

- 81.5% მიიჩნევს, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურება გაძვირდა
- 59% თვლის, რომ ამ პერიოდში ჯიბიდან გადახდებმა იმატა
- 89% მიიჩნევს, რომ ბოლო 6 თვეში მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდა

სპეციალისტთა შეფასებები თანხვედრაშია საქსტატის ოფიციალურ მონაცემებთან, რომლის მიხედვითაც 2016 წლის მანძილზე

- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა ↑5.78%-ით
- საავადმყოფოების მომსახურება კი უმნიშვნელოდ გაძვირდა ↑0.92%-ით
- მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუარესებაზე მიუთითებს შინამეურნეობების კვლევის მონაცემებიც: 2010 წლიდან 2015 წლამდე 14%-ით არის მომატებული იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯი* დაუდგათ. თუმცა, 2015 წელს მოსახლეობისთვის ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯის მოცულობა უფრო ნაკლებია ვიდრე 2010 წელს იყო.

* *შინამეურნეობის დანახარჯი ჯანდაცვაზე, რომელიც მთლიანი დანახარჯის 40%-ს და მეტს შეადგენს.*

კვლევის შედეგები

დეტალურად

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს წარმატება

სპეციალისტები ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს წარმატებებად ასახელებენ შემდეგ მოვლენებს/ცვლილებებს:

- C ჰეპატიტის პროგრამის მიმდინარეობას
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ რეფორმებს
- სამედიცინო დაწესებულებების დონეების განსაზღვრის დაწყებას

სამედიცინო მომსახურების ფასები და მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილების შეფასება



რესპონდენტთა უმრავლესობის (82%) შეფასებით ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურება გაძვირდა.

როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით რესპონდენტთა მოსაზრებები საქ.სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

2016 წლის წლიური ინფლაციის მონაცემებით ჯანდაცვაზე ფასები მცირედ, მაგრამ მომატებულია (↑2.1%)

ფასების ცვლილება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქციასა და მომსახურებაზე:

- ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა ↑ 5.78%-ით
- საავადმყოფოების მომსახურება გაძვირდა ↑ 0.92%-ით
- სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა გაიაფდა -0.88% -ით

წყარო: საქ.სტატი

- ბარომეტრის რესპონდენტთა მოსაზრებები თანხვედრაშია საქ.სტატის ოფიციალურ მონაცემებთან ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაძვირების კუთხით
- სამედიცინო პროდუქციის (წამლები), აპარატურისა და მოწყობილობების ჯგუფზე ფასების შემცირება 2016 წლის პირველი ნახევრიდან დაიწყო და ფასები ამ პერიოდში შემცირდა -12.4%-ით.
- 2016 წლის ბოლოსთვის სამედიცინო პროდუქციის (წამლები), აპარატურისა და მოწყობილობების ჯგუფზე ფასების -0.88%-იანი შემცირება დაფიქსირდა, რაც მიუთითებს ფასების დასტაბილურებას.

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან ფორმალური და/ან არაფორმალური გადასახდელების შეფასება



- ჯანდაცვის სერვისებზე ჯიბიდან გადახდილ თანხებზე ზრდის ტენდენცია მესამე ტალღიდან შეინიშნება
- VIII ტალღის მონაცემებით ჯიბიდან გადახდილი თანხების მატებას უკვე ათიდან ექვსი რესპონდენტი აღნიშნავს

ᲑᲝᲚᲝ 6 ᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ



ᲑᲐᲠᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ VIII ᲢᲐᲚᲦᲐᲨᲘ ᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲪᲮᲠᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ.

ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების ცვლილება 2010-2015 წწ (შინამეურნეობების კვლევა)



2010 წლიდან 2015 წლამდე კატასტროფული დანახარჯები სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობის ჯგუფებში სხვადასხვანაირად შეიცვალა:

- კატასტროფული დანახარჯი გაეზარდა მოსახლეობის ყველა ჯგუფს, გარდა უმდიდრესი 20%-სა.

კატასტროფული დანახარჯების მოცულობის ცვლილება 2010-2015 წწ (შინამეურნეობების კვლევა)



- მიუხედავად იმისა, რომ 2015 წ. კატასტროფული დანახარჯი უფრო მეტ ადამიანს დაუდგა 2010 წელთან შედარებით, 2015-ში მოსახლეობისთვის ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯის მოცულობა უფრო ნაკლებია ვიდრე 2010 წელს იყო.
- სავარაუდოა, რომ ეს ცვლილებები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ გამოიწვია:
  - მოსახლეობაში სამედიცინო სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის ფონზე იმატა სერვისების უტილიზაციამ, რამაც გამოიწვია კატასტროფული დანახარჯების სიხშირის ზრდა
  - ხოლო სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სერვისების გამოყენების შედეგად იკლო კატასტროფული დანახარჯის მოცულობამ.

ჯანდაცვის და მთლიანი დანახარჯების ცვლილება სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოსახლეობისთვის 2010-2015 წწ (შინამეურნეობების კვლევა)



შინამეურნეობების კვლევის თანახმად განსხვავებულია ჯანდაცვის დანახარჯების ცვლილება სოფლად და ქალაქად 2010 წლიდან 2015 წლამდე:

- ამ პერიოდში სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჯანდაცვითი ხარჯი უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე მათი შემოსავლები, ქალაქად კი პირიქით, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ ქალაქის მოსახლეობამ საყოველთაო ჯანდაცვით ალბათ უფრო მეტად ისარგებლა ვიდრე სოფლის მოსახლეობამ.

ჯანდაცვის დანახარჯის ფორმირება (შინამეურნეობების კვლევა)



- შინამეურნეობების კვლევით ჯანდაცვაზე დანახარჯის ფორმირებაში მოსახლეობის უღარიბესი ჯგუფის კონტრიბუცია (ჯანდაცვაზე დანახარჯების სახით) 2010 წლიდან 2015 წლამდე ⬆30%-ით არის გაზრდილი, ხოლო უმდიდრესი ჯგუფისთვის -⬇15%-ით არის შემცირებული.

სპეციალისტთა შეფასებები ჯანდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებზე

ჯანდაცვის სფეროს გამოწვევა/ პრობლემა, რომელიც მთავრობამ უნდა მოაგვაროს

ბარომეტრის VIII ტალღაში დასახელებული გამოწვევების ნუსხა თითქმის უცვლელია მეხუთე ტალღიდან მოყოლებული:

1. ხარჯთ-ეფექტურობა ჯანდაცვის დაფინანსებაში
2. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვა-ადმინისტრირება
3. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის არსებული დიზაინი 2017 წლის მარტის ცვლილებებამდე

ხარჯთ-ეფექტურობისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მართვის გამოწვევები ბიუჯეტიდან დანახულ ჭრილში



ბოლო 2 წლის მანძილზე ჯანდაცვით პროგრამებზე სულ დაიხარჯა 254 მლნ ლარით (+17%) მეტი წლის დასაწყისში დაგეგმილთან შედარებით.

- აქედან საყოველთაო ჯანდაცვაზე სულ დახარჯულია დაგეგმილზე 215 მლნ ლარით (21%-ით) მეტი

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 2015, 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები.
პროგრამა 35 03; 35 03 01

დამატებითი ინფორმაცია კვლევის შესახებ

შინამეურნეობებში ჯანდაცვის დანახარჯების ანალიზის შესახებ

- მონაცემთა ანალიზისთვის გამოვიყენეთ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკითხვის 2010, 2011, 2012, 2014 და 2015 წლის მონაცემთა ბაზები (2013 წელი არ გაანალიზებულა ძირეული რეფორმების ეტაპობრივი დანერგვის გამო), რომლებსაც საქ.სტატი ყოველწლიურად აწარმოებს.
- კვლევის ამოცანა
  - ჯანდაცვაზე კატასტროფული დანახარჯების* შეფასება
  - მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

**შინამეურნეობის დანახარჯი ჯანდაცვაზე, რომელიც მთლიანი დანახარჯის 40%-ს და მეტს შეადგენს.*

მოკლე ცნობები ბარომეტრის რესპონდენტების შესახებ

- ბარომეტრის მერვე ტალღა წარმოდგენილია მონაწილეთა ფართო სპექტრით:
  - სამთავრობო სტრუქტურები
  - სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები
  - საერთაშორისო ორგანიზაციები
  - პროფესიული ასოციაციები და სადაზღვევო ორგანიზაციები
  - კვლევითი საექსპერტო ჯგუფები

- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და გენდერული განაწილებით:
  - მონაწილეთა 80%-ს აქვს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება
  - მონაწილეთა 83%-ის ასაკი 40 წელზე მეტია
  - რესპონდენტთა 56% ქალბატონია

ჯანდაცვის სფეროს

ბარომეტრი

www.curatiofoundation.org

დასასრული

საავტორო უფლებები დაცულია.

შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის გარეშე, მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით.

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი